




შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური
პერსონალის შეფასება საერთაშორისო
თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის
ხელშეწყობის შესწავლის მიზნით



მოკლე მიმოხილვა

კვლევის მიზნები და ამოცანები

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შეფასება საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით ჩატარდა 2023 წლის შემოდგომის სემესტრში. კვლევა ჩატარა სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების სამსახურმა, ხოლო დასკვნებზე იმუშავა შიდა აუდიტის სამსახურმა.

კვლევის მიზანი: სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შეფასება საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით

კვლევის ამოცანები:

კვლევის ამოცანას წარმოადგენდა რეპოდენტთა პასუხების ანალიზი შემდეგ დაგვედგინა:


- საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის მუშაობის ეფექტურობა აკადემიური პერსონალთან მიმართებაში
- აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის სიხშირე
- გაცვლითი პროგრამების გამჭვირვალობა
- საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის თანამონაწილეობით/ თანადაფინანსებით/ინფორმაციით აკადემიური პერსონალის ჩართულობის ინტენსივობა

კვლევის მიზნისა და ამოცანების მისაღწევად გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რომელიც საფუძვლად დაედო კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის დიზაინს) შემუშავებას. სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა გამოკითხვის, კერძოდ კითხვარის გამოყენებით. გამოკითხვა: როგორც აფილირებული, არააფილირებული ასევე მოწვეული აკადემიური პერსონალი შერჩევის ერთობლიობა- 77 რესპოდენტი, რაც საერთო რაოდენობის 54%ია.

ძირითადი დასკვნები:


- გამოკითხულთა დიდი ნაწილი იცნობს სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას, რჩება მცირე რაოდენობა ვინც არ არის გარკვეული ამ საკითხში. რეკომენდებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში კიდევ ერთხელ გაზიარდეს აკად-პერსონალისთვის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი.
- გამოკითხულთა გარკვეულ ნაწილს არ მიუმართავს საერთაშორისო პროგრამების/პროექტების კოორდინატორისთვის, რაც ალბათ იმით აიხსნება, რომ უნივერსიტეტში არსებობს ჰორიზონტ ევროპის საგრანტო ოფისი, რომლის წამომადგენელიც ჩართულია აკად-პერსონალისთვის საერთაშორისო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროცესში, გარდა ამის ინფორმაცია ზემოთ აღნიშნული საკითხის გარშემო საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ელექტრონულ პლათფორმებზე.
- გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ადასტურებს, რომ საერთაშორისო პროგრამების/პროექტების კოორდინატორი მართავს საინფორმაციო შეხვედრებს.
- გამოკითხულთა უმრავლესობა საქმის კურსშია საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ.
- გაცვლით პროგრამებში აკად-პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი არ არის მაღალი, რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ გარკვეულ ნაწილში მხარდაჭერის მექანიზმების არსებობის მიუხედავად, მაინც არსებობს ენობრივი ბარიერი, ასევე აკადემიური პერსონალის მცირე ნაწილი 70 წელს გადაცილებულია და არ აქვს მობილობაში მონაწილეობის მოტივაცია, გაცვლით პროგრამებზე გამოცხადებული კონკურსების რაოდენობა არ არის მაღალი.
- უნივერსიტეტს გააჩნია შეფასების გამჭვირვალე და სამართლიანი კრიტერიუმები გაცვლითი პროგრამების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.
- გამოკითხული აკად-პერსონალის 59.6% არ მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის თანამონაწილეობით/ თანადაფინანსებით/ინფორმაციით. ამ კუთხით არსებობს აკად. პერსონალის მხარაჭერის მექანიზმები, თუმცა საჭიროა გაძლიერება.

იცნობთ თუ არა სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას?




გამოკითხულთა 85.1% იცნობს სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას, არ არის დაინტერესებული აკად-პერსონალის 8.5% და არ იცნობს აღნიშნულ დოკუმენტს 6.4%

მიგიმართავთ თუ არა საერთაშორისო პროგრამების/პროექტების კოორდინატორისთვის?




საერთაშორისო პროგრამების/პროექტების კოორდინატორისთვის არ მიუმაართავს გამოკითხულთა 55.3%, აღნიშნულ სამსახურს მიმართა 36.2% და არ არის დაინტერესებული 8.5%

მართავს თუ არა პერიოდულად საერთაშორისო პროგრამების/პროექტების კოორდინატორი საინფორმაციო...




გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ადასტურებს რომ საერთაშორისო პროგრამების/პროექტების კოორდინატორი მართავს საინფორმაციო შეხვედრებს.

ხართ თუ არა საქმის კურსში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ (საერთაშორისო მემორანდუმებ...




გამოკითხულთა 91.5% ინფორმირებულია საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, არა აქვს ინფორმაცია 4.3%, არ არის დაინტერესებული 4.3%

მივიღიათ თუ არა მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში და საერთაშორისო მობილობ




გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა მიიღო გამოკითხულთა 84.4%, არ მიუღია მონაწილეობა საკამოდ დიდ რაოდენობას 84.4%, არ არის დაინტერესებული 2.2%

გააჩნია თუ არა უნივერსიტეტს შეფასების გამჭვირვალე და სამართლიანი კრიტერიუმები გაცვლითი პროგრამების კონ...




გამოკითხულთა 82.6% იცის რომ უნივერსიტეტს გააჩნია შეფასების გამჭვირვალე და სამართლიანი კრიტერიუმები, არ აქვს ინფორმაცია 13%, არა 4.3%

მივიღიათ თუ არა მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის თანამონაწილეობით/ თა...



გამოკითხული აკად-პრონალის 59.6% არ მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის თანამონაწილეობით/ თანადაფინანსებით/ინფორმაციით.

აქვს თუ არა სასწავლო უნივერსიტეტს უცხო ენების შემსწავლელი უფასო ან ფასიანი სასერტიფიკატო კურსები?



გამოკითხული აკად-პრონალის დიდი ნაწილი იცნობს სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრის საქმიანობას

დანართი 9: სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შეფასება საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის შესწავლის მიზნით

შეკითხვა	ხელმისაწვდომობის შეფასება			
	დიახ	არა	არ მაქვს ინფორმაცია	არ ვარ დაინტერესებული
იცნობთ თუ არა სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას?				
მიგიმართავთ თუ არა საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურისთვის?				
მართავს თუ არა პერიოდულად საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური საინფორმაციო შეხვედრებს/კონსულტაციებს საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით?				
ხართ თუ არა საქმის კურსში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ (საერთაშორისო მემორანდუმები, უცხოელი პარტნიორები და სხვ.)				
აქვს თუ არა უნივერსიტეტს გაცვლითი პროგრამები უცხოეთის უნივერსიტეტებში (Erasmus+, სხვ.)				
მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში და საერთაშორისო მოხილობაში როგორც პერსონალი				
გააჩნია თუ არა უნივერსიტეტს შეფასების გამჭვირვალე და სამართლიანი კრიტერიუმები გაცვლითი პროგრამების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად?				
მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის თანამონაწილეობით/ თანადაფინანსებით/ინფორმაციით?				
ატარებს თუ უნივერსიტეტი სხვადასხვა სახის ღონისძიებებს (ტრენინგები, კონკურსები, workshop-ები, სემინარები, კონფერენციები უცხოელი ტრენერების/პროფესორების ჩართულობით/მონაწილეობით				
აქვს თუ არა სასწავლო უნივერსიტეტს უცხო ენების				

შემსწავლელი უფასო ან ფასიანი სასერტიფიკატო კურსები?				
საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის, გაძლიერებისა და განვითარების მიზნით რა სახის ცვლილებებს ისურვებდით? ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია და აზრი.				